დამტკიცებულია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აპრილის №8 გადაწყვეტილებით

მოდიფიცირებულია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 მარტის №05 გადაწყვეტილებით

მოდიფიცირებულია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 მარტის N5 გადაწყვეტილებით

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
რეგლამენტი

მუხლი **1.** ზოგადი დებულებანი

1.თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) აკადემიური საბჭოს რეგლამენტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და უნივერსიტეტის დებულების საფუძველზე განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესსა და პროცედურას.

2.აკადემიური საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, დებულების და სხვა აქტების შესაბამისად.

მუხლი **2.** აკადემიური საბჭოს სტატუსი და შემადგენლობა

1.უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (შემდგომში – აკადემიური საბჭო) არის უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

2.აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი).

3.უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 14 წევრით. აკადემ იური საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედის უნივერსიტეტის რექტორი და ვიცე-რექტორები. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეა რექტორი; უნივერსიტეტის ფაკულტეტები წარმოდგენილია თანაბარი რაოდენობის აკადემიური პერსონალიდან არჩეული 4 წარმომადგენლით; აკადემიური საბჭოს 2 წევრს აკადემიური პერსონალიდან ნიშნავს რექტორი; აკადემიურ საბჭოში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის უფროსი, კვლევებისა და განვითარების ცენტრის უფროსი. აკადემიურ საბჭოში შედის 1 კურსდამთავრებული, რომელსაც წარმოადგენს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერილი განვითარების სამსახური. ასევე აკადემიურ საბჭოში შედის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი 2 სტუდენტი, რომელთა არჩევაც ხდება სტუდენტების მიერ, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით. არჩევნების ორგანიზებას უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობა.

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებები

აკადემიური საბჭო:

1. ადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას და სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმებს;
2. იხილავს, დამფუძნებელს უთანხმებს და ამტკიცებს უნივერსიტეტისგანვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს;
3. შეიმუშავებს უნივერსიტეტის სტრუქტურას ასევე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წინადადებებს;
4. ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;
5. შეიმუშავებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს

დამფუძნებელს;
6. ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინადადებით, რექტორთან შეთანხმებით;
7. ამტკიცებს უნივერსიტეტის ფაკულტეტების და სამსახურების დებულებებს;
8. ფაკულტეტების წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს, ახდენს მათ მოდიფიცირებას;
9. ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობასა ან/და ერთობლივი პროგრამების შექმნას;
10. დამფუძნებელის წარდგინებით ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს;
11. დამფუძნებელის წარდგინებით ამტკიცებს ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელს;
12. ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში – სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, ფაკულტეტების წარდგინებით;
13. ამტკიცებს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესს;
14. ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესს;
15. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას;
16. დამფუძნებელის წარდგინებით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – უნივერსიტეტის რექტორს;
17. ადგენს საკონკურსო პირობებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების და ფაკულტეტების წინადადებათა გათვალისწინებით;
18. ფაკულტეტების შუამდგომლობით, იღებს გადაწყვეტილებას ღია კონკურსის ჩატარების, მათ შორის, თარიღისა და საკონკურსო კომისიის განსაზღვრის შესახებ;
19.რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და რექტორისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, დამფუძნებელის ინიციატივით ან წინასწარი თანხმობით, განიხილავს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს; გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, აკადემიური საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3–თ; რექტორი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს; რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ახალი რექტორის განწესებამდე, რექტორის მოვალეობებს ასრულებს ვიცე-რექტორი;
20. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის დებულებით მასზე დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა
1.აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი სურვილი;
ბ) მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
გ) გარდაცვალება;
დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
ე) ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლება.
2. აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტებიდან არჩეული, წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში ტარდება არჩევნები

უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად.
3. რექტორს უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში უწყდება აკადემიური საბჭოს წევრის სტატუსი.

მუხლი 5. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი
1.აკადემიური საბჭო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრთა 1/3-ის მიერ.
2.აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომებს უძღვება რექტორი – აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. რექტორის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს სხდომას შეიძლება გაუძღვეს საბჭოს წევრთაგან არჩეული სხდომის თავმჯდომარე.
3.აკადემიური საბჭოს სხდომის დაწყებამდე, აკადემიური საბჭოს წევრი შესაბამის ფორმაზე ხელმოწერით აფიქსირებს სხდომაზე გამოცხადების ფაქტს (რეგისტრაცია), რაც დაერთვის სხდომის ოქმს. აკადემიური საბჭოს წევრი ასევე ვალდებულია, სხდომის გამართვამდე შეატყობინოს აკადემიური საბჭოს მდივანს სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ.
4.მდივანი აკადემიური საბჭოს სხდომის დაწყებისთანავე წარუდგენს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას აკადემიურ საბჭოს.
აკადემიური საბჭოს წევრის სამეცნიერო-შემოქმედებით შვებულებაში (ქალაქგარეთ), მივლინებაში ყოფნისას ან სხვა საპატიო მიზეზით სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში აკადემიური საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე მისი ჩართვა და კენჭისყრაში მონაწილეობა განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური საბჭოს წევრის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტი და შესაძლებელი იყოს მისი ხმის იდენტიფიცირება.
5.აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ განაცხადი, როგორც წესი, მდივანს უნდა წარედგინოს სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. აკადემიური საბჭოს მდივანს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით სხდომის დღის წესრიგის პროექტს დაუგზავნის აკადემიური საბჭოს წევრებს, რომელთაც შეუძლიათ ორი დღის ვადაში დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხები. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
6.აკადემიური საბჭოს სხდომა არის საჯარო. საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია მოწვეული იქნან პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან სხდომის დღის წესრიგის საკითხთან. კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია. თანხმობა დასტურდება ხელის აწევით. კენჭისყრის მიმდინარეობისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომის დარბაზის დატოვება.
7.აკადემიური საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აკადემიური საბჭოს სხდომა ან მისი გარკვეული ნაწილი (რომელიმე საკითხის განხილვისას) დაიხუროს ან ჩატარდეს ფარული კენჭისყრა.
8.მომხსენებელთა გამოსვლის (პროექტის წარმოდგენის) დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს, ხოლო საბჭოს წევრის მიერ მოსაზრების გამოთქმა - 5 წუთს. ერთი და იმავე საკითხზე მოსაზრება საბჭოს წევრმა შეიძლება გამოთქვას მხოლოდ ორჯერ. ეს დრო შეიძლება შეიცვალოს საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა გარკვეული დროით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს, თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური აღარ არის ან ამოწურულია.
9.გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სხდომის მონაწილე წევრთა შემადგენლობის უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა. ხმების გაყოფისას თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია. აკადემიური საბჭოს წევრს არ აქვს ხმის მიცემისგან თავის შეკავების უფლება.
10.აკადემიური საბჭო დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე,

მისთვისკანონმდებლობითა და წინამდებარე რეგლამენტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, კენჭისყრის შედეგად იღებს დადგენილებას, რომელსაც ხელს აწერს რექტორი – აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე (სხდომის თავმჯდომარე) და დაერთვის ოქმს.

11.აკადემიური საბჭოს სხდომაზე მიღებული დადგენილება ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 6. აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი

1.აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ აკადემიური საბჭოს მდივანი ადგენს ოქმს.

2.აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) სხდომის თარიღი, დრო და ადგილი;

ბ) სხდომის თავმჯდომარის, წევრების, ასევე მოწვეულ პირთა ვინაობა;

გ) დღის წესრიგი;

დ) სიტყვით გამომსვლელთა ტექსტის (მოკლე) შინაარსი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

3.სხდომის ოქმს დაერთვის გამომსვლელთა (მომხსენებელთა) მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა.

4.ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე (სხდომის თავმჯდომარე) და აკადემიური საბჭოს მდივანი.

მუხლი 7. აკადემიური საბჭოს მდივანი

1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურების უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი, რომელსაც რექტორის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

2. აკადემიური საბჭოს მდივანი:

ა) აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომის გამართვის თარიღს, სხდომის დღის წესრიგის პროექტს და ამ რეგლამენტის მე-5 მუხლის შესაბამისად, თანდართულ პროექტებთან და სხვა მასალასთან ერთად აწვდის აკადემიური საბჭოს წევრებს;

ბ) ორგანიზებას უწევს სხდომის დღის წესრიგის პროექტისა და მიღებული დადგენილებების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებას;

გ) უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრების სხდომაზე გამოცხადების შესახებ ინფორმაციის (გამოცხადების შემთხვევაში - ხელმოწერებით დადასტურება; გამოუცხადებლობის შემთხვევაში - საპატიო მიზეზის მითითება) აღრიცხვას;

დ) აწარმოებს აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმს;

ე) ვალდებულია აკადემიური საბჭოს აქტები დროულად მიაწოდოს (სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა) უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პირებს;

ვ) უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს საქმისწარმოებას (სამსახურეობრივი მიმოწერა, სხდომის ოქმების/დადგენილებების/წარდგინებების/განცხადებების აღრიცხვასა და კანონმდებლობით დადგენილი წესით შენახვას;

ზ) აწარმოებს აკადემიური საბჭოს წევრთა საკონტაქტო მონაცემების შეგროვებას და შენახვას.

3. აკადემიური საბჭოს სამდივნო კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, აკადემიური საბჭოს საქმისწარმოების მასალებს (ნომენკლატურის შესაბამისად) გადასცემს შესანახად უნივერსიტეტის კანცელარიას (არქივს).

მუხლი 8.რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

აკადემიური საბჭოს რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.